№ 160

ხუთშაბათი, 28 ივლისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 160

ხუთშაბათი, 28 ივლისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 0 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ხოჯთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—8)

საზაფხულო თეატრი
„ფანტაზია"
პარასკევს, 29 ივლისს,
წარმოდგენა იქმნება ქართულს ენაზედ:

I

**ძუნწი**

კომედია 2 მოქმ., თხზულება გ. ერისთვისა

II

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან

ვოდევ. 1 მოქმ.

III

**დივერტისმენტი**

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქქ. იოსებიძისა, გურამიშვილისა, გავაზელისა (პირველი დებიუტი): ბბ. საფაროვი, ადამიძე, ნასიძე, მჭედლიშვილი, ხარაზოვი, ბალთაზარაშვილი და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ

## ახალი ამბავი

*** ამას წინად გვქონდა მოხსენებული, რომ ქუთაისის გუბერნიის სახაზინო უწყებამ, მინისტრის განკარგულების ძალით, 16 ათასი დესეტინა სახელმწიფო მიწა, მდებარე ბათომის ახლოს, სახელდობრ ჩაქვაში, გარდასცა საუფლისწულო მამულთა მმართველობას. როგორც «Нов. Вр.» გვატყობინებს, საუფლისწულო მამულთა მმართველობა კიდევაც იწყებს თურმე ამ ზემო აღნიშნულს მიწაზედ ჩაისა და სხვა ინდოეთელის და ჩინეთელის ნერგების გაშენებას.

*** მმართველი სამედიცინო ნაწილის სამოქალაქო განყოფილების კავკასიაში, ბ. გლაკაცკი, შესდგომია იმ ინსტრუქციის შემუშავებას, თუ როგორ უნდა მოეპყრან ძიძები მიგდებულთ ყრმათა საზრდელად და ანუ რა ზედამხედველობა უნდა იქონიონ თვით ამ ძიძების შესახებ, რადგანაც ასეთი ინსტრუქცია დღესდღეობით არა აქვს ტფილისის ოლგის საბებიო ინსტიტუტს. („Т. Л.").

*** ორშაბათს, 25 ივლისს, შუადამის ორს საათზედ, ერევნის მოედანზედ მოისმა ყვირილი: მიშველეთ მკვლენო!" ამ ხმაზედ მოვარდა ქალაქის მოსამსახურე მე 4 განყოფილებისა, რომელმაც აღმუროვის წამალხანას ახლო დაინახა ვიღაც ახალგაზდა ქართველი, რომელსაც ხელში თავისი წელები ეჭირა. მოსამსახურემ იმავ წამსვე ჩასვა დაჭრილი ეტლში და მასთან ერთად მიხეილის საავადმყოფოს მიაშურა.

პოლიციის გამოძიებიდგან აღმოჩნდა, რომ მძიმედ დაჭრილი ახალგაზდა, თერძია, ქუთაისში მცხოვრები, ალექსანდრე ხოჯავა, თვრამეტის წლისა. 25 ივლისს ის თურმე კრწანისში დაესწრო საეკკლესიო დღესასწაულს, რომლის შემდეგ უქეიფნია ორთაჭალაში, საიდგანაც სოლოლაკში წამოსულა. როდესაც თავის სახელოსნოში დაბრუნდა, რომელიც სომეხთა ბაზარში არის მეხუთე განყოფილებაში, იქ შეხვდა ტფილისში მცხოვრებს გეურქა ბეგლარის ძეს ბაბანასოვს, რომელმაც რაღაც წინადადება გაუკეთა ხოჯავას და ეს უკანასკნელი არ დასთანხმდა მას. მაშინ ბაბანასოვმა ამოიძრო უეცრად დიდი დანა და მუცელში ჩასცა. ჭრილობა ისე დიდია, რომ იქიდგან წელები გარდმოცვივდნენ, დათვალიერების შემდეგ წელებიც გაჭრილნი აღმოჩნდნენ. ჭრილობა აუკერეს, მაგრამ დაჭრილის მდგომარეობა ძალიან საშიშოა. დამნაშავე გაიქცა და 26 ივლისის შუადღემდის იმალებოდა, მაგრამ შემდეგ პოლიციამ შეიპყრო და გამომძიებელს წარუდგინა. დამნაშავე პირველად უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ გამოტყდა დანაშაულობაში. („Кав.").

*** 29 ივლისს ნორაშენის ქუჩაზე მიხეილ დანიელოვს შერჩეულის გასაღებით სადგური გაუტეხეს და 66 მანეთის ოქრო ვერცხლეული მოჰპარეს, მისმა ცოლმა იჭვი შეიტანა თავის ქმრის ამხანაგზედ.

*** ამავე დღეს კუკიის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელმა სიმონ ამირაღოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ახალქალაქში წავიყვანე და სახლზე თვალყურის დაჭერა მივანდე დანიელ ზეკისშვილს. იმავე დღეს უკანვე დავბრუნდით; ზეკისშვილი იქ აღარ დამხვდა და 500 მანეთის ნივთეულობაც დაკარგული აღმოჩნდაო.

## კორესპონდენცია

**ხევი**, 23 ივლისი. ცხვრის მოშენება ისე უსარგებლო არავისთვის არ უნდა იყოს ქვეყანაზედ, როგორც არის ჩვენის ხევის ხალხისათვის, რადგან, ყველის ისე კარგათ კეთება ჩვენ არ ვიცით, როგორც იციან, მაგალითად, ჩვენთან მეზობლად მყოფთ თრსის ხეობაში და კობის საზოგადოებაში მცხოვრებმა ოსებმა, რომელთათვისაც ამ ნაწარმოებს დღეს ისეთი ბაზარი აქვს, რომ საიდამ გინდათ მუშტარი ამათ ყველის სასყიდლად არ მოდიოდეს და მიჰქონდეს ფუთობით, ფუთი 6—7 მანეთად, ხოლო ჩვენი ხალხი-კი ამ გვარად სარგებლობას მოკლებულია ხელობის უცოდინარობის მიზეზით, მაშინ, როდესაც რაც ხევს ერთს შესანიშნავს სოფელში ცხვარია, თითქმის მარტო იმდენი ცხვარი მთელის თრსოს ხეობის სოფლებშიაც ვერ მოიკრიფება. ერბოს კეთება-კი ჩვენმა ხალხმა უფრო კარგად იცის ოსებზედ, მაგრამ რა გამოდის ან ამის კეთების კარგათ ცოდნით? ისიც-კი, ვინც ჩვენში თავის ცხვარს ათასობით და მეტობით სთვლის, მთელის წლის განმავალობაში არც ერთს ფუთს ერბოს არ გაჰყიდის, მისდგომია და დაუზოგავად ჰხარჯავს ზეცის მანანასავით!

ცხვრის მოშენებაში ერთად-ერთი მატყლის გაყიდვა იყო და არის დღესაც ერთი იმ წყაროთაგანი, რომლითაც ჩვენი კაცი ყოველსავე წვრილმან ხარჯს ჰფარავს, თუმცა, სამწუხაროდ, ამითაც უფრო შინაურ-გარეული ჩარჩები სარგებლობენ, სანამ თითონ ცხვრის პატრონები; ამ სიმდიდრისათვის დღევანდლამდის ისეთი გზა ვერ გაუხსნიათ ცხვრის პატრონებს, რომ ღირებულ ფასად იყიდებოდეს და ჩალის ფასად არ მიჰქონდეთ ჩარჩებს.. ორთა შუა რიცხვით ყოველს წელს 3,000 ფუთზედ მეტი მიაქვთ ჩარჩებს ჩვენის ხევის მატყლი და ფუთზე 1 მანეთი მაინც აკლდებათ ცხვრის პატრონებს, ადგილობრივ, აქვე გაამხანაგებულ ჩარჩებზე გასყიდვით?!.

სანამ ხეურის მატყლის შესაძენად შინაურ-გარეული ჩარჩები ამხანაგად გახდებოდნენ, მინამ ფუთი მატყლი 5 მანეთიდამ 6 მანეთად იყიდებოდა. ხოლო ჩარჩების გაამხანაგების შემდეგ-კი ყოველს წელს თანდათან ისე ძირს დასწიეს მატყლის ფასს, რომ ამ გაზაფხულზედ თვრამეტ აბაზზედ მეტი აღარ შეაძლიეს ფუთს მატყლში და ვისაც ფული ძლიერ უჭირდა, იმითგან კიდეც იყიდეს ამ ფასად! ჩარჩები მატყლის ასე დაიაფებას, ჩვენის ხალხის თვალების ასახვევად, პეტერბურგის ბირჟაზე ოქროს ფასის დაწევას აბრალებენ. ეს ძლიერ კარგი და პატიოსანი! მართალია ამ ჟამად პეტერბურგის ბირჟაზე ოქროს ფასმა 25—30% მოიკლო, მაგრამ ისე-კი არ დაუწევია (ღმერთმა დაიფაროს!), როგორც დააწევინეს მატყლის ფასს ჩვენის ხევის ამშენებლებმა!..

ამ გაზაფხულზე გაამხანაგებულ ჩარჩები ზემოდ დასახლებულის მიზეზით ხეურ მატყლს ჩალის ფასათ უპირებდნენ წაღებას, მაგრამ ეს მანქანება გაიძვერა ჩარჩებს ზოგიერთმა დიდის ფარის პატრონებმა შეუტყვეს და რამდენჯერმე კარზედ მისული ჩარჩები პირში ჩალის გამოვლებით ისევ უკან გამოაბრუნეს ცარიელი.

ახლა სოფელ კარკუჩაში ცხვრის

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

მოკაშკაშე მთვარის სხივნი
ბნელსა ღამეს ანათებდნენ,
მთვარეს ქურდი-ავაზაკნი
გრულვა-ზიზღით აფურთხებდნენ:
დაიმალე ღრუბელშიო,
უსირცხვილო თაგინებდნენ,
ნუ შეჰკრთებით მთვარის მსგავსნო,
როს თქვენც ისე გისსენებდნენ.

დ. მაჩხანელი

### დასასჯელია თუ არა?!

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდგან)

IV

(დასასრული *)

თითქმის ნახევარი საათი გავიდა მას აქეთ, რაც მათემ ლაპარაკი შესწყვიტა და გულხელ-დაკრებილი გამომძიებლის პასუხს ელოდდა. მაგრამ გამომძიებელი ფიქრში იყო წასული, არც-კი შეუნიშნავს მათეს გაჩუმება. გამომძიებელს სახე წამდაუწუმ ეცვლებოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ იგი რაღაცა აზრის აწონ-დაწონვაში იყო და სცდილობდა შესაფერი გარდაწყვეტილება ეპოვნა ამ საგნისთვის. ამ ფიქრების მიზეზი მათე და მისი შემაწუხებელი აღსარება იყო. დიდი ხანი არ იყო, რაც იგი გამომძიებლობდა, მაგრამ მაინც საკმარისად იცოდა, საგამომძიებლო მრავალ-ფეროვან საქმეების წყალობით, გლეხ-კაცის სულიერი მოძრაობა ამა თუ იმ გასაჭირში და განსაკუთრებით-კი მაშინ, როცა ისინი ბრალდებულის სავარძელზე ისხდნენ. ეს პირველი მაგალითი იყო, რომ დამნაშავე ეგრე გულ-წრფელად, დაუფარავად აუწყებდა საქმის ვითარებას და ამასთანავე არც-კი სცდილობდა, როგორც სხვები, ჩვეულებრივის ხრიკებითა და სიცრუის შეთხზვით, თავის გამართლებას, ბრალის აცილებას; მათე ისეთის სიმართლის კილოთი ჰლაპარაკობდა, თითქოს არცკი მიაჩნდა თავისი საქციელი დანაშაულად, არამედ კანონიერ საზღაურად და ამისათვის გასამართლებელიც არა ჰქონდა-რა. გამომძიებელიც, თავისის მხრით, თანაუგრძნობდა მათეს, უდანაშაულოდ სთვლიდა ამ საქმეში, რადგანაც მკვლელობა გამოეწვია ისეთს გარემოებას, რომელიც სავსებით აქარწყლებდა დანაშაულის სიმძიმეს. მაგრამ ამავე დროს გამომძიებლის სინიდისის გარდაწყვეტილებას წინ ელობებოდა კანონი, რომლისაც იგი აღმასრულებელი და ყურმოჭრილი ყმა იყო. ორ ცეცხლ შუა რომ იტყვიან, სწორედ ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი კანონის დამცველი. გული ერთს ეუბნებოდა, საქმით-კი სხვა გვარად უნდა ემოქმედნა. არ იცოდა რა ექმნა? რომლისთვის მიენიჭებინა უპირატესობა—გულის თქმისათვის თუ მოვალეობისათვის, რომელსაც იმისაგან ითხოვდა მისი თანამდებობა? დიდი ხანი ებრძოდა ჩვენი მოხელე ამ ორს გრძნობას და ბოლოს გარდასწყვიტა, რომ მოვალეა კანონის მოთხოვნილებას უმსხვერპლოს გულის გარდაწყვეტილება, სავსებით შეასრულოს საგამომძიებლო წესი და სრულიადაც არ გაურიოს ამ საქმეში თავისი კერძო აზრი. ამის გამო დაწვრილებით ჩამოართვა ჩვენება მათეს, დააპატიმრა და მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას შეუდგა.

გამოძიებამ გამოარკვია, (რასაკვირველია, მამასახლისის წყალობით), რომ „გლეჯიას", ყურძნის მოპარვის დროს, თან ხანჯალი არა ჰქონია და ამასთანავე ისიც, რომ მათე წინადვე დამუქრებული იყოო. რასაკვირველია, ამ ორმა გარემოებამ უფრო უარესად დაამძიმა ბრალდებულის დანაშაული.

ძალიან უკულმა დატრიალდა აგრეთვე მათეს ოჯახობის ბედი. მათეს დაპატიმრების შემდეგ ვის-ღა სცხელოდა ან ოჯახისთვის, ან ვენახისთვის? საწყალ მართას აელო ფეხი, გამოემძლვარებინა წინ თავისი შვილი ნიკო და ამ პაპანაქებაში სოფლიდგან ქალაქში მირბოდა და ქალაქიდგან სოფელში. ყოველ დღე, ვიდრე გამოძიება დასრულდებოდა, მართა უნუგეშოდ იდგა გამომძიებლის „კამერასთან" და ელოდებოდა, იქნება ახალი რამ გავიგო საქმისაო. ერთხელ, როცა იმისი მათე ტუსაღის ტანისამოსით, ხელ-ფეხში ბორკილ გაყრილი მოიყვანეს სასამართლოში, საცოდავს კინაღამ გული შეუწუხდა და ისევ მათეს დარიგებამ დააშოშმინა, თორემ მთელს ქალაქს შეჰყრიდა იმისი კივილი. ბოლოს იმდენი ეხვეწა გამომძიებელს, იმდენი ემუ

*) იხ. „ივერია", № 159.

პატრონებს *) მოლაპარაკება აქვთ, რომ თავიანთ შორის ამოირჩიონ კეთილ საიმედო კაცები, გაჰგზავნონ ტფილისში და რომელისამე მატყლის მყიდველს კანტორის პატრონს შეეკრან პირობის წერილით და ყოველ გაზაფხულ-შემოდგომაზედ თავიანთის საკუთარის ხარჯით ჩაუტანონ და მიუწონონ მაზანდაზე და ან სხვა მუშტარი მოიყვანონ ხეურის მატყლის სასყიდლად და ამითი აიცილონ თავიდგან სამუდამოდ ხეურის მატყლის ჩალის ფასად ყიდვას ჩვეული ჩარჩების ზარალი.

ამ ხეველი

---

**ს. იყალთო** (კახეთი): თელავის მაზრის ახალს მარშალს თავად დიმიტრი მაყაშვილს დიდი საზოგადოება ეწვია ამას წინად ს. იყალთოში მისის მეუღლის კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულის სულის მოსახსენებლად წირვა-პანაშვიდზედ დასასწრებლად. წირვა-პანაშვიდი გადაიხადეს იყალთოს სასაფლაოს ღვთაების ეკკლესიაში. წირვის შემდეგ იყალთოს ნათლის მცემლის მღვდელმა ი. მრევლიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შემოკლებით მოგვყავს:

პატიოსანნო მსმენელნო!

დღეს მეორმოცე დღეა, რაც ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა ხელიდგან ერთი კეთილი დედათაგანი, მეუღლე თავადის მაყაშვილისა მარიამ ნიკოლოზის ასული და ეხლა ჩვენ შევიკრიბენით ამ წმ. ეკკლესიაში სულისა მის პატივსაცემლად და მოსახსენებლად. ჭეშმარიტად ღირს არს იგი მოხსენებისა, გლოვისა და ტირილისა, რამეთუ იგი იყო შემკული ყოვლის ღირსებითა, იყო მქონე კეთილის თვისებისა და ხასიათისა, იყო სათნო ღვთისა და ჭეშმარიტი ქრისტიანე, იყო ჭეშმარიტი მეუღლე და დიდი პატივის-მცემელი თავის ქმრისა, იყო ქვრივთა, ობოლთა და გლახაკთა შემწყნარებელი და შემწე, იყო მწუხარეთა ნუგეშინის მცემელი სიტყვით და საქმით, იყო ნათესავთა და მეზობელთა პატივისმცემელი და თანამგრძნობელი, ახალგაზდათა დამრიგებელი და წარმატების გზაზედ დამყენებული, მაგ., იგი ზრდიდა თავის ხარჯით რამდენსამე ყმაწვილს და სხვ. ჩვენი მხარე იგლოვს ამ პატიოსანს და კეთილს ადამიანს... მაგრამ ამ ღირსეულს და პატივცემულს ადამიანს უკანასკნელს დღესაც-კი, ბევრმა ჩვენთაგანმა, ვერ სცა პატივი და ვერ დაჰღვარა მის საფლავზედ ცრემლი მწუხარებისა, ვერ ანუგეშა მცირე სიტყვითაც-კი მისი მეუღლე და მისი მშობელი მამა; მაგრამ სამაგიეროდ განსვენებულს წილად ჰხვდა უმეტესი პატივისცემა სიკვდილისა და დასაფლავების დროს: მთელმა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ დაიტირა იგი და ხელი ხელ მიაცილა მისი გვამი საფლავამდე დიდის პატივით, სადაც დაკრძალეს თავის საყვარელის დედის გვამთან.

*) ეს სოფელი ხევის ყოველს სოფელზედ უფრო შესანიშნავია ცხვრის სიმრავლით; ამ წელს იგი გაჰყიდის მატყლს 1,000 ფუთამდე.

---

**სოფ. მუხრანი.** თქვენ უკვე იცით, იმ უბედური შემთხვევის ამბავი, რომელიც მოხდა, მოგითხრობთ შეუცვლელად. სოფ. მუხრანში 18 ივლისს: შუაღამისას, როდესაც მთელს სოფელს ეძინა. ერთმა ბოროტ-მომქმედმა, წაუკიდა ცეცხლი დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავადის ლევან გიორგის ძის ბაგრატიონ-მუხრანსკის ძნას. ასტყდა საშინელი კიჟინა, ზარის რეკა, გამოვარდნენ კარზე გულგახეთქილები თავადი ლევანის ძმები და თქვენ მტერს, რაც იმათ ნახეს: მათი წლის საზრდო, ცხრა ასი ურემი ძნა იწოდა. ქარი ჩრდილოეთ-დასავლეთისა იყო და ამის გამო ცეცხლი საშინელის სისწრაფით მოედო ძნას, რადგანაც იმ იუდას დასავლეთიდგან, მიეცა ცეცხლი. რუებში წინადვე განძრახ დაეწყვიტნა წყალი. გაგზავნეს კაცები წყლის მოსაყვანად, მაგრამ წყალი ბოროტ-მომქმედს სათავეში კიდევ დაეწყვიტა. ამ რიგად, გაგზავნილი ბიჭები რომ წყალს მოიყვანდნენ, ბოროტ-მომქმედი ხელახლად დასწყვეტდა ხოლმე; ასე რომ სანამდის შეიარაღებული კაცი არ დააყენეს რუსთან, წყალს ამ რიგად სწყვეტდნენ, მაგრამ მერე გვიან-ღა იყო!..

სიგრძით ოც-და-თექვსმეტი და სიგანით ხუთი საჟენი ძნა რამდენიმე საათში ფერფლად გადიქცა!.. ცეცხლი ძნიდან საბძელს წაეკიდა და მთლად გადაბუგა, საბძლიდან ცეცხლი გადავიდა გლეხის დავით მამულაშვილის სახლის სახურავზე, რომნლიც მთლად დაიწოდა, თუ საუფლისწულთ მამულის მოურავი ინჟენერი სამსონოვი, ბ. აფრამოვიჩი და სხვანი არ დახმარებოდნენ. საზოგადოდ დიდი მადლობის ღირსნი არიან თავადნი: გიორგი ჩიჩუა, ფალავა ალექსანდრე, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის ღვინის მკეთებელი პ. ი. პავლოვი და სხვანი, რომელნიც ამხნევებდნენ ხალხს და თვითონვე უშიშრად იდგნენ ცეცხლში და შველიდნენ. ზარალი როგორც პოლიციის ოქმიდგან სჩანს, სულ ორი-ათას თუმნამდეა და არა სამას თუმნამდე, როგორც შეცდომით მოეწერათ „ივერიისათვის“, სამასი თუმნისა მარტო ბზე გამოუვიდოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუხრანში ეს პირველი მაგალითი არ არის ასეთის ბოროტ-მოქმედებისა. ამ რამდენისამე წლის წინად თავადის ივანე კონსტანტინეს ძის მუხრან-ბატონის ძნა ამ გვარადვე გადასწვეს და, როგორც მისმა მოურავმა ამ დღეებში ბოქაულს გამოუცხადა, ეხლაც ვილაცა დამუქრებია ძნის გადაწვას. 1891 წ. იმავე ლევან მუხრანსკის საბძელს წაუკიდეს ცეცხლი; შარშან მღვდლის ანდრია კარბელოვის ბზით სავსე საბძელს წაუკიდეს ცეცხლი და მთლად გადაბუგეს!.. ბოროტ-მომქმედნი აშკარად ხედავენ, რომ ადმინისტრაცია მათ ჯეროვანის გულ-მოდგინებით ვერ სდევნის, ვერ აღმოუჩენია ისინი და ქართული ანდაზისა არ იყოს ისინიც, უძაღლო სოფელში,—უჯოხოდ დაიარებიან...

ეხლაც ამ საქმის თაობაზე გამოძიება სწარმოებს და ვინ იცის ეს გამოძიება, გამოძიებად დარჩება, თუ აღმოაჩენს დამნაშავეს.

ყოველს შემთხვევაში ჩვენ ერთად-ერთ საშუალებად მიგვაჩნია ამ შემთხვევაში პოლიციის მხრივ სასტიკი ზომების მიღება. რომ ბ-ნი მაზრის უფროსი შეკრებდეს ხალხს და გამოუცხადებდეს, ან მონახეთ დამნაშავე და ან აღმოარჩიეთ თქვენს შორის საეჭვო კაცები, რომ იმათი მოშორებით სოფელს მშვიდობა მიეცესო, ჩვენ დარწმუნებული ვართ ბოროტ-მომქმედი აღმოჩნდებოდა, რადგანაც ეს ზომა ყოველთვის და ყოველგან საუმჯობესო გამომდგარა ხოლმე და ყოველს გამომძიებელზე სოფელი უფრო სამართლიანად დასდებს ბრალს ვისმე!..

დამსწრე

---

## ფასის მთა და რიონის სათავე

(მგზავრის ნანახი და გაგონილი)

დიდის ხნის წადილი წელს ამისრულდა: აი ეს არის, ვსდგევარ კავკასიონის მთაგრეხილის ძირში, უფრო დაახლოვებით რომ ვსთქვათ, ფასის მთის ძირში და შევსცქერი ცამდის აწვდილს მის ბუმბერაზ კალთებს! აქეთ-იქით ეს მაღალი მთა წარმოადგენს პიტალო კლდეებს, რომლებშიაც ალაგ-ალაგ გამოსჩანან მიუდგომელი გამოქვაბულები. ეს გამოქვაბულები გახლავთ ჯიხვებისა და არჩვების ბოსლები. აქ ეს ღვთის ცხოველები ზამთარში თავს იფარავენ ზვავებისაგან, რომელიც მხოლოდ თავს თუ გადმოუვლის, თორემ იმათს ბინას ვერას გზით ვერ შეეხება. ორს დიდს კლდეს შუა არაა დიდი მანძილი და ეს ალაგიც შუამდის მთლად რუხვს სალს კლდეს წარმოადგენს; შუას ზემოდ-კი იმავე კლდის ფერი მუდმივი ყინული დასწოლია და გაუთანასწორებია მარჯვენა და მარცხენა კლდის წვერები. ასეთი ყინული სურათებში თუ მენახა; ახლა-კი, როცა თვალით დავინახე, მხოლოდ ახლა შევიგნე, თუ რა ყოფილა ბუნების ძალა და ან რა შესძლებია სითბო-სიცივეს!

ამ უზარ-მაზარ ყინულის მთის ძირიდგან გადმოდის საკმაოდ დიდი შხივი (ადგილობრივი სახელი ВОДОПАДЪ-ისა). შხივი გადმოევლება ვეებერთელა კლდესა, ეცემა ნაზვავებ თოვლში და იკარგება შიგ. აქედგან ჰხვრეტავს თოვლს და მოშორებ, სადაც ნაშვავები თავდება, გამოჰქუხს აქაფებული მღვრიე მდინარე. ეს გახლავთ ჩვენი რიონი და ყინულის სკორეებიდამ რომ შხივი ვარდება, ის არის რიონის უკანასკნელი წერტილი, დასაწყისი, ანუ სათავე რიონისა. ეს მთა გახლავთ ფასის მთაც.

აი, ვსდგევარ ამ მთის ძირში; პირი ჩრდილოეთისაკენა მაქვს და შევყურებ ყოველივე იმ სურათს, რაც თქვენ აგიწერეთ. როცა ჩვენი წინამძღოლი გვანიშნებს არე-მარესა, ამ დროს მარცხნივ, ე. ი. დასავლეთით ფასის მთის კალთას შავს ნაბადივით გადმოეფარა თხა-ცხვრის ფარა. ეს ფარა თანდათან დიდდებოდა, იშლებოდა და ბოლოს შურს ჩამოუდგა და დაეწაფა ნორჩს ბალახს. წინამძღოლმა აგვიხსნა, რომ ეს ჯოგი მოდის ბასიანიდანაო; გადმოივლიდნენ აი მაგ სკორეების თავზედაო, შემოუვლიდნენ მარცხნით რომ მთაა ამართული და ახლა-კი სამშვიდობოში გამოვიდნენო. აქამომდე თხა-ცხვარიც მშიერი მოდიოდა სკორეებზედაო და მეცხვარეებიც დიდს შიშში და განსაცდელში იყვნენო. ახლა-კი შეუძლიანთ არხეინად დაისვენონ და ფარამაც ნორჩის ბალახით მშიერი კუჭი გაივსოსო.

ამ გვარად მე ვიხილე და ვსცანი რიონის სათავესთან ისიც, რომ აქ, ფასის მთის შუაგულზედ, ყოფილა გადასავალი გზა ბასიანში (იქნება აქედგანაც წარმოსდგა სახელი ფასის ანუ ბასის მთისა?)

ფასის მთის ძირში როცა სდგეხართ, დასავლეთით, ვიწრო ხევის გაღმით არის ამართული ბალახით შემოსილი ფართო გორა. ამ გორის ზურგი რიონის პირიდგან იწყება, თანდათან დიდდება, მაღლდება და მიიმართება ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. ამ გორას მიჰყვება მეორე გზა, რომელიც სვანეთში გადაგიყვანთ. აქედგან ადვილად წარმოსადგენია, თუ ეს ალაგი, რიონის სათავე ანუ ფასის წყარო (როგორც რაჭველები უწოდებენ), როგორი საშიშო ალაგი იქნებოდა უწინდელს დროში: ერთის მხრით სვანებისაგან და მეორეს მხრით—ბასიანელებისაგან.

ახლა, უეჭველია, იკითხავთ, თუ რა გზით მივედით ფასის მთასთან და ან რა სიშორეზედაა ის უწერიდგან? უწერაზედ აივლის საეტლო გზა ონიდგან და ეს გზა ოსეთში გადადის. ვისაც რიონის სათავის ნახვა ჰსურს, ის უწერიდან საეტლო გზით გაივლის 7 ვერსს გლოლის ხიდამდი, შემდეგ ეს გზა მოუხვევს მარჯვნივ ე. ი. აღმოსავლეთისაკენ და თქვენ-კი უნდა მიჰყვეთ რიონის ნაპირს—მარცხნით. ამ ხიდიდან, როდესაც გაივლით 8 ვერსს, მიხვალთ ორს დიდს სოფელში ჭარო-ღებში. ეს სოფლები რიონის ნაპირზედ მდებარეობს ძლიერ ვიწრო ხეობაში. ღებიდან გზა საცხენოსნოა თვით ფასის მთამდის. მიჰყვება რიონის ნაპირს და გამოვა 20—25 ვერსამდის. ღებიდგან მე და ჩემი თანამგზავრები დილით წავედით. შუა დღისას სათავეში მივაღწიეთ. საღამოს-კი ისევ ღებში დავბრუნდით. ამ გვარად, სრულიად საძნელო არ არის უწერიდგან კაცი ავიდეს რიონის სათავეში, ვისაც-კი აქვს სურვილი იხილოს კავკასიონის მთის დიდება, თუმცა რომ დარი კარგია,

---

დარა, რომ თავდებით გამოშვების ნება-რთვა გამოსთხოვა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მამასახლისის შიშით, ვერავინ გაჰბედა თავდებად დადგომა. გამწარებული დედაკაცი თავის გაჩენის დღესა სწყევლიდა და უშვერის ლანძღვა-გინებით იხსენიებდა მამასახლისსა და იმის ცოლ-შვილს. ამან უფრო გაამძვინვარა მამასახლისი და უარესად გააკაჟა იმისი ველური გული. ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ გაეუკიდურესებინა ისეთაც დაღუპულ ოჯახის მდგომარეობა. ამასობაში გამოძიებაც გათავდა და საქმე ოლქის სასამართლოს გადაეცა. გულ-დაწყვეტილი, დაძმარებული დაბრუნდა შინ მართა და, ქმრის გამოშვების იმედ-დაკარგული, შეუდგა ოჯახის მოწყობას; ვენახი ჯერაც დაუკრეფავი ჰქონდა, მაგრამ რაღა იყო შიგ მოსაკრეფი? თითქმის ნახევარზედ მეტი სულ ქურდულად გაეტანათ, თუმცა მცველიც-კი ედგა.

რაც იყო, მოჰკრიფა, ჩასწურა ერთს პატარა ქვევრში და მაჭრათვე წყლის ფასად მიუწყო სოფლის მედუქნეს ხეჩოს, რათა ცოტა მაინც დაჰხმარებოდა თავისს ბედკრულს ქმარს.

V

გაზაფხულის დილა იყო. ცა ღრუბლებს მოეცვა, მძიმედ ზედ დასწოლოდნენ და ნელად იცრემლებოდნენ. მთებს ბურუსი მოჰხვეოდა და ქვეყანა ჩამოებნელებინა. ზამთრისაგან დატიტვლებული ხეები—ისევ ისე ობლად გამოიყურებოდნენ, როგორც ღრმა ზამთარში, ახლად დამდგარს გაზაფხულს ჯერ კიდევ ვერ შეემუსრნა ზამთრის სუსხი.

ქალაქ თ—ის საპატიმროს ალაყაფის კარებთან რამდენიმე ჩაფარი იდგა შეკაზმულ ცხენებით. ისინი ტუსაღებს მოელოდნენ, რომელთაც ტ—ში ჰგზავნიდნენ „ეტაპით“. აი ჭაჭუნით გაიღო საპატიმროს რკინით მოჭედილი კარები და ბნელის ტალანიდგან მოისმა ბორკილების ჩხარა-ჩხური და ფეხის ბაკუნი, რომელსაც ტალანის მაღალი თაღი უარესად აორკეცებდა. გამოჩნდა ტუსაღთა გროვა, მოკლე ფარაჯებსა და მსხვილ ტილოს შალვრებში გამოწყობილი. ყველას ხელ-ფეხზე ბორკილი ჰქონდა და ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულნი. როგორც მათი ბედი. ამ გროვას 12—15 კაცი შეადგენდა, ამათში ზოგი ახალგაზდა იყო, ზოგი შუა ხნისა, ზოგიც მოხუცებული. ერთნი დაღვრემილნი გამოიყურებოდნენ, იტანჯებოდნენ ამ სამწუხარო მდგომარეობით, მეორეებს-კი აინუმშიაც არ მოჰქონდათ ეს ყოფა და ხითხით-სიცილით ოხუნჯობდნენ.

— ერთი ჭირი მარგებელია აი! დაიძახა ერთმა ახალგაზდა პატიმარმა სიცილით.—კაცო, ღმერთს სულ იმას ვეხვეწებოდი, ისე ნუ მომკლავ, რომ ქალაქი არ მაჩვენო-მეთქი და აი, ამისრულდა კიდეც!.. ქალაქს-კი არა, მთელს რუსეთს დავივლი, მერე სახემწიფო ხარჯით!.. და კვლავ გაიცინა.

— როგორ არა, შენმა მზემ! უპასუხა იმავე ხუმრობის კილოთი მეორემ. ყველაფერს სათითაოდ გაჩვენებენ... იმედს ნუ დაჰკარგავ!..—ამ ლაპარაკით მოდიოდნენ ტალანში, რომელიც საკმაოდ გრძელი იყო. აი კიდეც გამოვიდნენ გარეთ. პირველმა ტუსაღმა გააღო პირი იმავე ღიმილით, პასუხი უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვები ტუჩებზედ გაუყინდა, რადგანაც მოისმა დედაკაცის კივილი და პატარა ბალღის ქვითინი, ამავე დროს ალაყაფის კარებს დაშორდა ერთი შავებით მოსილი ქალი, ტუსაღებისაკენ გამოჰქანდა და ერთ შუახნის პატიმარს მოეხვია, უკან ამ ქალს პატარა ბოხჩით ხელში ესე 8—9 წლის ბავშვი მოსდევდა თვალეჩის წმენდით.

ეს დედაკაცი მართა იყო, რომელიც თავისის შვილით ნიკოთი მოსულიყო საპატიმროსთან, მათესთან გამოსასალმებლად. ოლქის სასამართლომ მათეს სამის წლით „არესტანტის როტა“ მიუსაჯა „გლეჯიას“ განზრახ მოკვლის გამო და ამ «ეტაპით» ტ—ში იგზავნებოდა, რათა იქიდგან ხარკოვის გუბერნიისაკენ გაემგზავრებინათ. ამ უბედურებამ მათეზედ საშინლად იმოქმედა და სულით ხორცამდე მოსტეხა ეს მაგარის აგებულების კაცი. საწყალს ავადმყოფის შეხედულება ჰქონდა, ზარნაშოს ფერი დასდებოდა იმის მზისა და ქარისაგან გამოწრთულს სახეს და თვალები, ღრმად მორღვეული, ისე უელვარებდა, როგორც ციებ-ცხელებიანს ადამიანს. საშინლად იმოქმედა მათეზედ ოჯახის წალმა დამბრუნებამაც; წინად კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მეზობლები პატრონობას გაუწევდნენ მართას, უქმად არ ჩაუტარებდნენ აუარებელს ოფლს, მამულში ჩაღვრილს, მაგრამ ეს იმედიც დაჰკარგა, რადგანც თითონ იმ მეზობლებმა მოითბეს ხელი მათეს ოჯახში გაჩენილს ცეცხლზედ. მეხის დაცემას ეთანაბრებოდა მართასაგან მოტანილი ამბავი,

გაჭირვებას არას ნახავს და სამაგიეროთ სიამოვნებას-კი ბევრსა. სხვა რომ არა იყოს რა, რად ღირს ნახვა ორის დიდის სოფლისა, ჭირა-ღებისა, რომლებიც თვით კავკასიონის მთის ძირში მიმალულა და იქ სრულიად მტკიცედ დაუცავთ დღემდე ყოველი უუძველესი ქართული ენა, ზნე, ჩვეულება და ტანთ-სამოსი.

ჭიარლები და ღებელები უფრო ვაჭრობას მისდევენ; ყიდულობენ რუსეთში (მოსკოვში, ნიჟნი-ნოვოგოროდში და სხვ.) ფართალს, მოაქვსთ ჩრდილოეთ კავკასიაში, აქ გადასცვლიან ოთხ-ფეხზედ (თხა-ცხვარზედ ცხენებზედ და ხარებზედ) და ან ჩოხა-ნაბადზედ. ყოველი ესე გადმოაქვსთ სამხრეთ კავკასიაში და ასაღებენ სხვა-დ-სხვა დაბებსა დ ქალაქებში. თუმცა მუდამ გარეთ მგზავრობაში არიან, სხვა-და-სხვა ხალხთან აქვთ საქმე, მაგრამ ამის გამო ისინი თავისს ზნე-ჩვეულებას არ იცვლიან. როგორც რამდენისამე საუკუნის წინ უცხოვრნია იმათ წინაპარს დღესაც ღებელი ისეა მოწყობილი ოჯახში, იმავე გვარად განაგრძობს ცხოვრებას.

იმათი სიმდიდრე საბალახე და ტყეა. ჩრდილო კავკასიიდგან გადმორეკილს ჯოგს აქ ასუქებენ მთელი ზაფხული და შემდეგ გასასყიდლად წამორეკენ ქუთაისისაკენ. თითო გლეხს ასობით და ათასობით ეყოლება თხა-ცხვარი და აგრეთვე მსხვილი ოთხფეხი. იმათი ოჯახი ძვირად არის თავ-მოყრილი. კაცები ზოგნი სავაჭროდ არიან წასული, ზოგნი ყანა მინდორში, ზოგნიც საჯოგეში მწყემსებად. ქალებიც ზოგნი შინ ოჯახობენ, ზოგნი ყანებში სამარგლავად და ან სამკალოდ, ზოგნი არიან მინდვრად, სადაც თითო ოჯახს აქვს აშენებული ერთი სახლი და ერთიც ბოსელი. აქ გროვდება მეწველი თხა-ცხვარი და ძროხა. მანდილოსნების ხელობაა—შეაგროვონ რძე, აკეთონ ერბო, ყველი და ესრედ წოდებული ჰაირანი, ანუ კეფირი. ჰაირანი იმათში ისეთივე სასმელია, როგორც ქალაქებში ლიმონის წყალი. რადგან სხვა სასმელი იქ ძვირია (ღვინო და არაყი), ამისათვის მობრძანდებით თუ არა, მაშინვე ჰაირანს მოგართმევენ. მშვენიერიც რამ ყოფილა ეს სასმელი! რაც უნდა უცხო იყოთ და გემოც არ გენახოთ ამ სასმელისა, გასინჯვისათანავე ისე შეგიყვარდებათ, რომ არ იცით რამოდენი დალიოთ. გავიწყდებათ სხვა სასმელ-საჭმელი და მარტო ის გინდათ, რომა სვათ. იმდენათ მარგებელია თურმე, ისე ასუქებს კაცს, რომ არა სასმელ-საჭმელი მარგებლობით იმას არ შეედრება.

ჭირა-ღებელი გლეხის სიმდიდრე, როგორც მოგახსენეთ, ჩოხა-ნაბადი და ჯოგებია-თქო. საზამთროდ ისინი ძლიერ ცოტა თხა-ცხვარს და ძროხას ინარჩუნებენ, რადგანაც ზამთარი აქ დიდი იცის და იმათ გამოკვებას ბევრი თივა დასჭირდებოდა. შემოდგომის პირზედ ისინი თითქმის სულ ასაღებენ ჯოგებს და ფულად აქცევენ. აქაური გლეხები საკმაოდ შეძლებულები არიან. ბევრია ისეთი გლეხი, რომელსაც შინ ნაღდად ექმნება თხუთმეტი და ოცი ათასი მანეთი. მაგიერად აქაური გლეხიც დიდია. იმათში გაყოფვა ადვილი საქმე არ არის. ამიტომ ერთს ოჯახში ოცდა-ათიდგან ორმოცდა-ათ სულამდის ხშირად მოიპოვება. ხომ ამდენნი სცხოვრობენ ერთად, მაგრამ ოჯახში სამაგალითო წესი და რიგი სუფევს. კაცებში ერთი უხნიერესი ვინმეა თავი ოჯახისა, რომელიც წარმართავს ყოველს ოჯახურს და გარეგნულს საქმეებს. ამისის რჩევით დაადგებიან ყველანი თავ-თავის საქმეს და ასრულებენ ყოვლის უმიზეზოდ.

ქალებსაც თავისი უმფროსი, ანუ დიდ-დედა ჰყავთ და იმისი ხელქვეითნი არიან ყველა მანდილოსნები ოჯახისა. რომელმა ქალმა უნდა აცხოს, რომელმა წველოს, რომელმა ყანა მარგლოს, ეს სულ დიდ-დედის ნებაა და მის ბრძანებას ვერავინ ვერ გადაუვა. ამ ორს სოფელს აქვს გარშემო მშვენიერი საბალახეები. რიონის ნაპირზედ ჭალებში სთესვენ პურსა, ქერსა და კარტოფილსა. სხვა ჭირნახული აქ არა მოდის-რა. ასე რომ აქაური მცხოვრებნი თითქმის წლითა-წლამდე ნაყიდის სიმინდითა დ ღვინით რჩებიან. თუ რომ საბალახოს სიმდიდრე არ ყოფილიყო, აქაური ხალხი ყოვლად ღატაკი იქმნებოდა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამათ ამ საბალახეზედ უიჯარაოდ არც ერთს ნაბიჯზედ არ შეუძლიანთ საქონლის გარეკა. რუსეთთან შეერთების დროს ღებელების და ჭიორლების მთები, საბალახეები და ტყეები სახელმწიფოდ ჩარიცხულა და დღეს აქაური გლეხი წელიწადში საბალახისას და ტყის ფასს იხდის თითო ოთხფეხზედ ცალკ-ცალკე, თითო ცხენზედ უნდა იხადოს ექვსი შაური, თხა-ცხვარზედ—წყვილზედ სამი შაური, ძროხა და ხარზედ თითოზედ სამი შაური და სხვ. რამდენს ურემს თივას დასთიბავს, იმდენი თერთმეტი კაპეიკი უნდა გადაიხადოს; ტყეზედაც თავისი შესაფერი გადასახადია. რასაც მოსჭრის, იმისი იჯარა უნდა იხადოს. ამ ხარკს ხაზინა თითონ არა ჰკრეფავს, არამედ იჯარით აძლევს. მოიჯარადრეებს ბევრი უფლება აქვთ, ტყის მცველებს ბევრი სიკეთეც შეუძლიანთ და ბევრის შეწუხება და შევიწროებაც. აქედგან ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენი ბატონი უნდა ჰყავდეს აქაურს გლეხს! თითო გლეხს წელიწადში თურმე მოუწევს გადასახადი საშუალო რიცხვით სამ თუმნამდის. მაგრამ დამარწმუნეს, ყველა გადასახადი რომ ჩავთვალოთო, (საჩინო და უჩინო...), ექვს თუმანსაც აღემატებაო. საწყალს გლეხებს არა ერთხელ მოუწადინიათ მთავრობისათვის ეცნობებინათ თავიანთი გასაჭირი, მაგრამ ყოველთვის ბოროტი კაცები გადაჰღობებიან წინ და იმათს საჩივარს მთავრობის ყურამდის არც მიუღწევია. დღესაც თურმე მეცადინობენ ამის შესახებ; ვნახოთ, რით გათავდება ამ საწყალ მთიულების ბედი.

ს. დათეშიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Нов. Обоз.“-ს 3635 №-ში დაბეჭდილია „გ. მ.“-ის წერილი, რომელსაც ჰქვიან: „ქუთაისის ბანკოვიადა“ ანუ „რას გვაუწყებენ ციფირები და საბუთები?“ ამ წერილით გ. მ. პასუხს აძლევს ბ. კიკოძეს მისს „უკანასკნელს სიტყვაზედ“ და იმეორებს, რომ იგი, სხვათა შორის შემდეგს ორს ბრალსა სდებს ბ. ჩიკვაიძეს—ქუთაისის საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის მმართველს:

1, „ბ. ჩიკვაიძის მოქმედებას ეტყობა გულცივობა ბანკის შესახებ, როგორი გულცივობაც, სხვათა შორის, გამოისახა იმით, რომ მან მთელს სამს წელიწადს არ მისცა ჯეროვანი მსვლელობა ბანკის წევრების საერო კრების იმა შუამდგომლობათა მმართებლობის წინაშე, რომელნიც შეეხებოდნენ ცვლილებას რომელიმე ბანკის წესდების §§ და რომელთაგანაც დამოკიდებულია მომავალი კეთილ-დღეობა ჩვენის უბედურის საკრედიტო დაწესებულებისა“ და 2, „დანაშაული ბ. ჩიკვაიძისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოსაპოებლად მომხმარეთა და მეკენჭეთა სხვა-დ-სხვა შეღავათს აძლევს მსესხებელთ სავადო გარდასახადის შემოტანის დროს და ამითი ბანკი, რომელიც მისს მზრუნველობასა აქვს მინდობილი, შესაძლოა ადვილად დაიღუპოს“.

დასამტკიცებლად პირველის ბრალდებისა გ. მ. მოჰყავს საბუთად 1890, 1891 და 1892 ქუთაისის საბანკო საერო კრების ოქმები, საიდგანაც აშკარად ამოიკითხება სინამდვილე პირველის ბრალდებისა და რომელთ საწინააღმდეგო საბუთების მოპოება, არამც თუ ძნელია, არამედ სრულიად შეუძლებელად მიგვაჩნია.

რაიცა შეეხება მეორე ბრალდებას, აი, რას ამბობს ბ. მ. თავის წერილში: „მე თანახმა ვარ მისი, რომ ჩვენს ბანკშიაც იმ დღემდის, სანამ საბედ-უკუღმართოდ ფეხს შესდგავდნენ იქ ისეთი ფინანსისტები, როგორც ბ. ჩიკვაიძე და მისი მომხრენი, სავადო გადასახადის შემომტანთ აძლევდნენ ხოლმე შეღავათს, ადროებდენ, მაგრამ ვამტკიცებდი დ ეხლაც იმას ვამტკიცებ, რომ სწორედ ბბ. კალისტრატეს მომხრეების მადლობელი უნდა იყოს ჩვენი ბანკი და ჩვენი საზოგადოება, რომ სავადო გარდასახადი ასე საშინლად გადიდდა და გაზვიადდა.

დასამტკიცებლად ამ ჩემის აზრისა მე საჭიროდ არა ვრაცხ მოვიხმარო რაიმე გარეშე საბუთები, გარდა ისევ ბანკის ანგარიშებისა.

ჩვენ რომ ათის წლის ხანა ავიღოთ, ესე იგი 1883—1893 წ., მაშინ მივიღებთ შემდეგს ციფირებს სავადო სესხის ვადების განგრძობისას:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1883 | წ. | 67,996 | მან. |
| 1884 | „ | 58,482 | „ |
| 1885 | „ | 32,286 | „ |
| 1886 | „ | 31,011 | „ |
| 1887 | „ | 29,663 | „ |
| 1888 | „ | 36,098 | „ |
| 1889 | „ | 36,494 | „ |
| | | დ. ე. დადიანი | |
| 1890 | » | 77,948 | » |
| 1891 | » | 87,092 | » |
| 1892 | » | 93,892 | » |
| 1893 | » | 91,203 | » |
| | | კ. ნ. ჩიკვაიძე | |

აი, ამ ციფირებიდამ აშკარაა, რომ 1890 წ; ესე იგი იმ წლამდის, როდესაც საბანკო სარბიელზედ გამოითარეშა ბ. ჩიკვაიძემ, რაოდენობა სავადო გარდასახადისა ყოველს წლივ კლებულობდა. ბ. ჩიკვაიძის წინამოადგილემ მიიღო სამემკვიდროდ გადაუხდელი სავადო გარდასახადი 67,996 მანეთი და შეამცირა იგი 1890 წლისათვის 36,494 მანეთამდის, ესე იგი ერთი-ორად. რა მოახდინა შემდეგ ამისა ბ. ჩიკვაიძემ? იგი სრულიად სხვა გვარად ეკიდება საქმეს და ეს სხვა გვარად საქმის მოკიდება შეადგენს მისს საზოგადოების წინაშე პირადს დამსახურებას. მიიღო—რა მემკვიდრეობათ. დ. ე. დადიანისაგან მხოლოდ 36 ათასი მანეთი ვადა გადასულ გადასახადისაგან, ჩვენმა სოლცარმა ფინანსისტმა პირველსავე წელიწადს თავის მოღვაწეობისა გაზარდა ეს რაოდენობა 77 ათას მანეთამდე, ესე იგი ერთი-ორად. მაგრამ არ დაკმაყოფილდა ამ გვარის სახელოვანის მოღვაწეობით, ბ. ჩიკვაიძე დ შეუდგა განვითარებას ამ თავის ბრძნულის პოლიტიკისას და შემდეგ წელში ამ რიცხვის რაოდენობას მიუღწევია 87 ათასამდე და ცოტა შემდეგ 93 ათასამდეც; ესე იგი სამის წლის განმავლობაში მოასწრო გაესამებია მიღებულის მემკვიდრეობის რაოდენობა. აქ-კი როგორც ეტყობა, მასაც შეეშინდა ამ გვარის რაოდენობისა, რომელიც შეადგენდა ერთს მეოთხედს მთელის ბანკში შემოსატანის გარდასახადისას. აქამდის არ მიუღწევია არც ერთს მისს წინამოადგილეს და ამისათვის საფინანსო ურცხვობა ამ გენიოსის კაცისა ცოტაოდნად შეირყა. სულ სხვა მიმართულება მისცა თავის პოლიტიკას, ჩალხი მეორე მხრისაკენ გადაატრიალა, მაგრამ ვერა გვარი უკუღმა ჩალხის ტრიალი ვერ შეედრება იმ თავ-გაწეულს ჯირითს, რომელიც ბანკის საზარალოდ გამოიჩინა ბ. ჩიკვაიძემ. თუმცა მართალია განდიდება ამ გვარის რაოდენობისა წინად გამოისახა რამოდენიმე ათიათას მანეთში, სამაგიეროდ, შემცირება ამ რაოდენობისა 1893 წელში-კი მხოლოდ ორას თუმანში გამოითქვა. მაგრამ ეს შემცირებაც რომ მივიღოთ სახეში, მაინც (91,203 მან.) შეადგენს გასამებულს რიცხვს იმა რაოდენობისას, რაც ბ. ჩიკვაიძეს დახვდა ბანკში.

---

რომ ღვინო ერთი ცალიც ძლივს დადგაო და ისიც ნახევარ ფასად მივეცი ხეჩოსაო. ეს იყო და ეს, მასდღეს აქეთ დაჰკარგა ამ საცოდავმა კაცმა მოსვენება და სულ თავის გაჩენის წუთს სწყევლიდა. მათეს მდგომარეობა ამ ბოლოს დროს მით უფრო გადუხჭირდა, რომ უცხო მხარეს უნდა გაეგზავნათ; ამით ის ერთად ერთი ნუგეშიც მოაკლდა, რომ ცოლსა-და შვილს თვეში ერთხელ მაინც ჰხედავდა და იმათი ამბავი იცოდა. სვა მხარეს-კი აბა როგორ გასძლებდა უამისოთ? ყველა ეს, რასაკვირველია, შესამჩნევ დაღს დასდებდა იმის არსებას და მართლაც, როგორც ზევითა ვსთქვი, მათეს ავადმყოფობა შეეპარა და დღითი დღე სანთელსავით სდნებოდა.

—გაჩუმდი, ადამიანო, ნუ სტირი!.. სირცხვილია... უთხრა ჩუმად ცოლს მათემ და თითონაც ძლივს შეიკავა ცრემლები, როცა თავიანთ-შორი-ახლო დაინახა გულ ამოსკვნით მომტირალი ნიკო. უბედურ დამნაშავეს ამ სურათმა კანკალი მოჰგვარა და თავი ჩაჰკიდა, რომ ცოლ-შვილის მწუხარებისათვის არ ეცქირა. ისიც საკმაო იყო, რაც თითონ იტანჯებოდა, რომ გულით საყვარელ არსებათა მწუხარება ზედ არ დართოდა.

—ნეტავი შენ, კაცო, რა სირცხვილისა მცხელა?!. უპასუხა მართამ და კვლავ განაგრძო ტირილი. საბრალო ხმით ტიროდა, თითქოს მკვდარს იგლოვსო.—ვაიმე ბეჩავსა! ეს რა მომივიდა, ქა... რა უცეცხლოთ ვიწვები!?. რა გინდოდა, შე გულმკვდრის შვილო, დეე სულ შეეჭამა ის გასაოხრებელი ვენახი! რაზედ დაიღუპე თავი, ან ჩვენ რათ დაგვღუპე?!.—ჰყვიროდა საზარელის ხმით მართა. ყველა იქ მყოფი ამ სურათმა საშინლად დააღონ-დააძმარა და სულ-განაბულნი შესცქეროდენ მომტირალ ცოლ-ქმარსა და შვილს.

როცა მართამ გული მოიოხა ცრემლების ღვრით, ამოიღო ჯიბიდგან ხელსახოცი, გამოხსნა მის ყურში გამოხვეული ხუთ მანათიანი და ქმარს გაუწოდა.

—აჰა, დაიჭი, შე გულკვდრიშვილო,—უთხრა მართამ.—ჯერ ეს იყოს და შემდეგ ღვთისა და ხალხის...—აქ მართა შესდგა, მწუხარედ გაიღიმა და შემდეგ გაშმაგებით წარმოსთქვა:—ხალხი, ხალხი?.. აი წაღმა და უკუღმა ის დღე, როცა მე თქვენს სოფელში ჩამოვარდი აჰა!.. თქვენში ხალხი-კი არა, მგლები არიან, მგლები!!.—და კვლავ ბღავილი მორთო ხელების გასაგვესაბით.

—მე ფული არ მინდა, დედაკაცო, უპასუხა მათემ და გამოწვდილი ხელი უკანვე შეუბრუნა.—ყველაფერი სახემწიფო მაქვს. შენ იცი და შენ, ჩემო მართავ,—განაგრძო კვლავ მათემ ჩუმისა და აკანკალებულის ხმით,—ოჯახს როგორც შეგინახავ... აქ მათემ ვეღარ შესძლო ამოტენა ვაების ატანა, საშინლათ ამოიკვნესა, ასე გონია გული თან ამოატანაო, და ქვითინი დაიწყო.

ვაჟკაცის თვალზედ დანახულმა ცრემლმა ყველანი საშინლად გაამწარა, საცოდაობით ვერც-კი ეცქირნათ უბედურთათვის, ყველას ყელის ძარღვები დაეჭიმათ და ზოგიერთებს-კი თვალები მოენამა ცრემლით. იმდენად პატივსაცემი და სათანაგრძნობო იყო ამ ოჯახის მწუხარება, რომ თვით ის ტუსაღნი, რომელნიც წეღან ერთმანეთს დასცინოდნენ, ხითხითებდნენ და ოხუნჯობდნენ, ეხლა სულგაკმენდილნი იდგნენ, დარცხვენილნი შესცქეროდნენ მათესა და იმის ცოლს და ერთმანეთს სახეს არიდებდნენ, რომ არ გახსენებოდათ წეღანდელი შეუსაბამო საქციელი მათესა და სხვა მწუხარებით სავსე ტუსაღთა მიმართ.

განშორებისას მათემ ცოლშვილი გულში ჩაიკრა და მართას უთხრა:

—შენ იცი და შენმა დედაკაცობამ, მართავ, როგორც რიგიანად გამიზრდი ამ ბიჭს... თუ ღმერთმა მაცოცხლა და არ მომკლა... მე ვიცი... და თუ... შენ იცოდე... ეცადე მშობლების მაგინებელი არ გამოვიდეს და „გლეჯიასავით“... დანარჩენი სიტყვები-კი აღარ უთქვამს მათეს, რადგანაც „გლეჯიას“ გახსენებამ საშინელი ცეცხლი აუნთო გულში. ერთხელ კიდევ მიიკრა გულს საყვარელი არსებანი და დარეტიანებულსავით წაბარბაცდა, მერე როგორც იყო თავი შეიმაგრა და გასწია სხვებთან ერთად.

მართა შვილითურთ უკან დაედევნა პატიმართა გუნდს და ხმა მაღლა გაჰკიოდა:

—ვაიმე!.. ხალხნო, მიშველეთ!.. ეს რა ცეცხლი მეწვია!..

იმის ხმას ბანს აძლევდა ნიკოს ქვითინი და ტუსაღთა ბორკილის ხმა. მათე-კი გულს ცეცხლ-მოდებული, თავდახრილი ძლივს-ღა მიალასლასებდა ბორკილით გახლართულს ფეხებს.

ი. ელეფთერიძე

რომ ავიღოთ საშუალო არითმეტიკული რიცხვი ამ რაოდენობისა ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ბ. ჩიკვაიძის საკერძოდ მოდის 87,534 მანეთი, ხოლო მის წინამოადგილეს საკერძოდ—სულ 37,340 მანეთი.

აქედგან, ნუ თუ, აშკარად არა სჩანს, რომ ერთად-ერთი საფინანსო მოაზრება, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა გენიოსმა და მასთან ერთად მისმა დამცველმა „ზედამხედველმა სამებამ", მდგომარეობს იმაში, რომ უზომოდ აღემატებინათ ბანკის ზარალი?

## თეატრის მატიანე

8 მკათათვეს თბილისიდან თელავს ჩამოვიდა ბ. სვიმონიძე, რომელმაც აქაურის ამხანაგობის დახმარებით გამართა სამი სპექტაკლი: „მტარვალი," „სამშობლო" და „და-ძმა". ბ. სვიმონიძის სახელმა ბევრი ხალხი მოიზიდა თეატრის დარბაზში. მტარვალზედ დასწრების მსურველი ბევრი იყო, მაგრამ ნახევარზედ მეტი უკან დაბრუნდა უბილეთობისა გამო. ამ დღეს ბატონმა სვიმონიძემ ხალხი ისე მიიზიდა თავისაკენ, რომ ტაშის კვრას და ვაშა-ვაშას მახილს ბოლო არა ჰქონდა. პირველი მოქმედების შემდეგ ბ. სვიმონიძეს მიართვეს მწვანე ფოთლის გვირგვინი მშვენიერის აბრეშუმის ბაფთით, რომელზედაც იყო შემდეგი წარწერა ოქროს ასოებით: ,,ბ. სვიმონიძეს—პატივის მცემელთაგან". სპექტაკლის მერე ბ. სვიმონიძე მიიწვია აქაურ ყმაწვილ-კაცობამ ვახშამზედ, რომელიც იქავ, თეატრის ეზოში იყო გამართული. ამ ღამეს თეატრის ეზო ისე იყო სავსე ხალხით, რომ ფეხის ასაქცევი ალაგი არ, იყო. სამშობლომ და და-ძმამაც (პირველი ორი მოქმედების გარდა და-ძმისამ) კარგათ ჩაიარა, თუმცა მტარვალისოდენა ხალხი არც ერთხელ არ დასწრებია. სვიმონიძის გარდა კარგები იყვნენ თავიანთ როლებში: ბ. გამყრელიძე, ქ. დიდებულიძისა და აწყურელი.

თეატრში საშინელი ვიწროობა იყო. სკამები ისე იყო მიყრილი ერთი-ერთმანეთზედ, რომ უკან სკამზედ მჯდომს მუხლები მიწყობილი ჰქონდა წინა სკამზედ მჯდომისათვის; ფარდამ ხომ საქმე გაგვიჭირა სამივე სპექტაკლებზედ. ჩამოუშვებდნენ და აწევას ველარ ველირსებოდით, რადგან ჯოჯონაქი არა ჰქონდა; ამის გაკეთება-კი, მგონია, ორაბაზზედ მეტი არ უნდა ღირდეს. ურიგო არ იქნება სხვა არტისტებსაც მიებაძნათ ბ. სვიმონიძისათვის და ათაში ერთხელ ჩვენკენაც მოეხედნათ.

ისეთი საშინელი გვალვა-სიცხე დგას კახეთში, რომ კარგა ხანია, როგორც ამბობენ: „ასეთი დაწყევლილი ამინდი არა ყოფილა", ყანები ბევრმა ბალახად გაათიბინა, რადგან ცარიელი ძვრია იყო და ვინც მომკო, იმასაც დღიურზედ 4—6 კოდზედ მეტი არ ადგა, სიმინდები სულ გაფუჭდა. ვენახების იმედი გვქონდა და ამ სიცხეებმა ისე გააჭკნო მტევანი, რომ ოდნავ შეარხიო ნახევარი მარცვალი სცვივა. უფრო ძალიან გაფუჭებულია უწამლებელი ვენახები. ამ მოკლე ხანში თუ წვიმა არ მოვიდა, ძალიან გაჭირვებაში ჩაცვივა ჩვენი ხალხი, რადგან ყურძნის მოსავალზედაც ხელი აეღება.

ვ. ყვაჭა

23-ს ივლის
ქ. თელავი.

# დეპეშა

26 ივლისი

**პეტერბურღი.** პეტერგოფის სასახლის ეკკლესიაში ჯვარი დაიწერეს დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ და დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა. დილიდგანვე ზარბაზნის სროლამ პეტერბურღის ციხიდგან და პეტერგოფის ნავთ-სადგურიდგან აუწყეს სატახტო ქალაქს და საზაფხულო სამყოფელს მათის უდიდებულესობისას მოსალოდნელი სადღესასწაულო ამბავი. პეტერგოფი მშვენივრად იყო მორთული ბაირაღებით, ყვავილებით და ტრანსპარანტებით; ამშვენებული იყო პეტერგოფის შადრევანებიც, განსხვავებული მოძრაობა იყო, ყოველის მხრით სასახლის ეტლები სჩანდა, აუარებელი საზოგადოება იყო. ტაროსი ხშირად იცვლებოდა.

2-ს საათზე მოვიდა პეტერგოფში დიპლომატიის წარმომადგენელნი, ამავე დროს პეტერბურღიდგან და კრასნოე-სელოდგან მოვიდნენ სასახლის მანდილოსანნი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრნი, სტატს სეკრეტარნი, საპატიო აპეკუნნი, წევრნი სასახლისა, ამალა, ღენერლობა, და მეუფროსენი განსაკუთრებულის ნაწილებისა. პროტოპრესვიტორი იანიშევი და უმაღლესი სამღვდელოება შეიკრიბნენ სასახლის ეკკლესიის ტრაპეზში. სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, მინისტრებმა, ელჩებმა, დესპანებმა და იმათმა მეუღლეებმა დაიჭირეს ალაგი ეკკლესიაში. მესამე საათზე მობრძანდნენ გარეშე ქვეყნის დიდებულნი სტუმარნი: დიდნი მთავარნი, და დიდნი მთავრინანი. მალე ამის შემდეგ სადღესასწაულო ეტლით მობრძანდა დედოფალი იმპერატრიცა სასძლო დედოფლით. ნეფე მობრძანდა თავის მშობელთან, ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდა მემკვიდრე ცესარევიჩითურთ. ამ დროს ოქროს სასტუმროში სტატ დამებმა გაათავეს დედოფლის გამოწყობა. გვერდით შინდის ფერ სასტუმროში შეკრებილ იყვნენ ყველა წევრნი საიმპერატორო ოჯახისა და აქ დალოცეს დედოფალი. პირველმა ობერ ცერემონიმეისტერმა თავადმა დოლგორუკოვმა შეატყობინა ნეფეს და ეახლა მის უმაღლესობას შიდა ოთახებამდის. 3 საათზე 21 ზარბაზანი გამოისროლეს და შინდის ფერის სასტუმროდგან დაიწყო კორტეჟმა დენა სასახლის ეკკლესიისაკენ. შუა ეკკლესიაში გაკეთებული იყო მაღლობი ალაგი, შინდის ფრის ხავედით და ყვითელის სირმით მორთული. აქვე ესვენა ამბიონზე ჯვარი და სახარება. შემობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი თუ არა ეკკლესიაში, დააყენა ნეფე-დედოფალი საგვირგვინო ამაღლებულ ალაგს. დაიწყეს მღვდელმოქმედება; მეჯვარეებად იყვნენ: მემკვიდრე ცესარევიჩი დ ძმები ნეფისა. გალობის დროს «გადიდებ შენ უფალო", 101 ზარბაზანი დასცალეს. 5 საათსა და ნახევარს იწყეს სასადილოდ შეკრება. ოქრო, ვერცხლი და ყვავილები ფარავდა სუფრას. შუა ადგილას ისხდნენ ახალი ჯვარ-დაწერილინი ნეფე დედოფალი. მარჯვნივ ნეფესა დაბრძანდა დედოფალი იმპერატრიცა, მარცხნით ახლად ჯვარ-დაწერილის დედოფლისა დაბრძანდა ხელმწიფე იმპერატორი. ხელმწიფის და დედოფლის სავარძელს უკან იდგნენ პირველნი ხარისხნი სასახლისა, საბერძნეთის დედოფლის და დანაშთენ დიდებულთა სტუმართა, დიდთა მთავართა, მთავრინათა სავაძრძელთ უკან იდგნენ კამერგერნი და ნაშთენთა ხელმწიფის გვარეულობის წევრთა სავარძლის უკან კამერ იუნკერნი. მუსიკას უკრავდა სასახლის ხორო. 9 საათზე პეტერგოფის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ პირველის სამის ხარისხის მექონნი სამუსიკო სალამოზედ.

შემდეგ სამუსიკო სალამოისა ნეფე-დედოფალი წაბრძანდა როპშინის სასახლეში. სალამოს ანთებული იყო ჩინებული ილლუმინაცია, რომელმაც პეტერგოფი რაღაც საარაკო ადგილად გადააქცია. დასასრულ, პეტერგოფის ნაპირზე დასწვეს შუშხუნები.

ფრეილინი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ოზეროვისა დანიშნულ იქმნა ჰოფმეისტერინად დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულის წინაშე; პოლკოვნიკი ევრეინოვი დანიშნულ იქმნა სასახლის გამგეთ დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა.

**ოდესა.** გამოძიება შესახებ დაღუპულის ცეცხლის გემის ,,ვლადიმირისა" და ,,კოლუმბიისა" დასრულდა. გამომძიებელმა დაადგინა ორივე კაპიტანი აღნიშნულის გემებისა სამართალში მისცენ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

დაზღვევის საზოგადოება
## „იაკორი"
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—32)



## „ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7\frac{1}{2}$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



# ლექსები

თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(10—1420—9)


Дозволено цензурою Тифлисъ, 27-го Іюля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.